№ 266
სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 266
სამშაბათი, 23 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1898 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, სიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакцiя „ИВЕРIА“.

ქართული თეატრი

კვირას, 28 დეკემბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქ. და 7 სურ., თავ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეფ. მესხი, კარგარელი, რჩეულოვისა, ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი კ. მესხი

მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნა: ახალციხის მაზრის კობლიანის ნაწილის პოლიციის ბოქაული, კოლლეჟსკი ასესორი გუგუშვილი—ტფილისის მაზრის, ტფილისის ნაწილის ბოქაულად.

◆

ახალი ამბავი

—

⁂ თავადი კ. ი. მუხრან-ბატონი უკეთ არის. ექიმებს იმედი აქვთ მორჩენისა. თავადს სწამლობს მკურნალი მაისურიანცი და ყოველ-დღე მოდიან ქალაქის ყველა დოსტაქარნი.

გუშინ, 22 დეკემბერს, თავადის შესახება სთქვეს მკურნალებმა, რომ მისი მდგომარეობა კმასაყოფელი არისო. მორჩენის იმედი თანდათან უფრო მეტი აქვთ. მკურნალები ამბობენ, რომ ტყვია ხერხემალში აქვს ჩარჩენილიო და რენტგენის სინათლის შემწეობით უნდა გასინჯონ.

ქალაქში ხმა დადის, რომ პლიუშჩევსკის 20 დეკემბერს თავისის ცოლისათვის რვაასი თუმანი ფული გაუგზავნიაო. პლიუშჩევსკის დაუტოვებია აგრედვე ორი წერილი. ერთი მათგანი კავკასიის მთავარ-მართებელის სახელობაზედ არის დაწერილი.

საღამოს 7 საათი. თავ. მუხრან-ბატონის მდგომარეობა მეტად კმასაყოფელია. ტემპერატურა 36, 8, მაჯის ცემა 70. ჭრილობანი, რომელიც თავადსა ჰქონდა ხელებზედ და მკურნალმა ს. ა. მაისურიანცმა შეუხვია, ურჩება. იმ ადგილას, სადაც თავადს ჭრილობა ჰქონდა, ტკივილი არ ემატება. მორჩენის იმედი თან-და-თან უფრო მეტია. ღამე თავადს სამის საათის განმავლობაში ეძინა. ავადმყოფი დიდად ფარეზობს, რადგანაც შესაძლებელია, რომ შიგნეულობა დაშავებული ჰქონდეს, თუმცა დღევანდელი მისი მდგომარეობა ისეთია, რომ ეს ასე არ უნდა იყოს.

⁂ 21 დეკემბერს, გორის ეპისკოპოსმა და ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ თავადის კონსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონის სახლში გადიხადა პარაკლისი თავადის მორჩენისათვის.

⁂ გუშინ-წინ, კვირას, 21 დეკემბერს, „ტფილისის საბრანიაში“ კონცერტი იქმნა გამართული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ბ-ნმა სარაჯევმა და კნინამ, ქ-ნმა სარაჯიშვილმა, რომელმაც მშვენივრად იგალობა რამდენიმე საგალობელი, და ამავე დროს მეორე და, ქ-ნი სარაჯიშვილი, როიალზედ უკრავდა. ბ-ნ ველიჩკომ რამდენიმე ლექსი წაიკითხა რუსულად ჩვენის პოეტებისა. საზოგადოება დიდის ტაშის კვრითა და აღტაცებით მიეგება ბ-ნს ველიჩკოს. თავ. გრ. აბაშიძემ წაიკითხა თავისი ნათარგმნი ლექსი „თეთრი ჩადრი“ და რამდენიმეც სხვა ლექსი, რომელიც საზოგადოებას დიდად მოეწონა. ბ. კარგარეთელმა ქართულად იმღერა რომანსი და საზოგადოების თხოვნით განიმეორა. განსაკუთრებულის აღტაცებით მიეგებნენ კონცერტზედ დამსწრენი. თავ. აკაკი წერეთელს, რომელმაც რამდენიმე თავისი ლექსი წაიკითხა და დაატკბო ყველანი მისის მოსმენით. დასასრულ კავსაძის ხორომ სთქვა რამდენიმე საგალობელი. საზოგადოებას დიდად მოეწონა ,,სულო ბოროტო'', ნაგალობევი თვით ბ-ნ კავსაძის მიერ. საერთოდ კონცერტით დიდად ისიამოვნა საზოგადოებამ. კონცერტს მოჰყვა განცხოველებული ცეკვა და კოტილიონი. ჩვეულებრივ ცეკვა დაამშვენა ჩვენებურმა ლეკურმა, რომელიც რასდენმამე ყმაწვილმა კაცმა და ქალმა ითამაშეს. ზოგიერთი ნაწილი საზოგადოებისა თითქმის გათენებამდე დარჩა „საბრანიაში“.

⁂ კვირას, 21 დეკემბერს, ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს ვ. გუნიას დრამა „და-ძმა“. ეს პიესა მრავალჯერ ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ არც ერთხელ არ ჩაუვლია ისე უშნოდ, როგორც ამ დღეს იქმნა წარმოდგენილი. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-მა სვიმონიძემ და ბ-მა კანდელაკმა. ბ-ნი კ. მესხი კარგი იყო მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში, უკანასკნელ სცენაში. დანარჩენ მოქმედებებში-კი თავისი როლი სუსტად ჩაატარა. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს როლი ეთამაშნა ბ-ნს გამყრელიძეს. წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო ხალხი. თეატრში ძლიერა ციოდა. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია კვირას, 28 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება სამშობლო.

⁂ პეტერბურგიდგან გვწერენ დეპეშით, რომ 20 დეკემბერს ქართული საღამო გაიმართა აქ ქართველ სტუდენტების მეთაურობით, რომელზედაც, სხვათა შორის, წარმოადგინეს მესამე მოქმედება პირველის ქართულის ოპერისა „თამარ-ცბიერი“-სა. ამ ოპერის მუსიკა დაწერილია ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ. ეს ოპერა დიდად მოეწონა საზოგადოებას და აღტაცებით გამოიწვიეს მრავალჯერ ახალგაზდა ავტორი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ს. გოლიცინი იანვრის თვის მეორე ნახევარში პეტერბურგს წაბრძანდება. თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგში ორ-სამ თვეს დაჰყოფს და მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო საბჭოში კავკასიის შესახებ საგნების განხილვის დროს. მთავარ-მართებელს თან კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი გაჰყვება.

⁂ ტფილისის საკომერციო ბანკი თავისს განყოფილებას აარსებს ქ. ფოთში.

⁂ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ბ. ევანგულოვმა გამგეობას გადასცა

ფელეტონი

—

ორიოდე სიტყვა ქართველ მაჰმადიანების შესახებ

—

გაზეთებმა სამწუხარო ცნობები მოგვიტანეს დაბა ხულოში ქართველ მაჰმადიანთა შორის დაარსებულ სკოლის შესახებ. ეს სკოლა ჯერ ძლივ დააარსეს და ეხლა, ამ ზაფხულს გაუქმებულა. გაუქმების მიზეზად აღიარებენ იმ გარემოებას, რომ სკოლის მასწავლებლად აქ სპარსელი კაცი დანიშნეს, ქართულის ენის არ მცოდნეო.

როგორც ისმის, დღეს თუ ხვალ ქობულეთის სკოლასაც ესევე დღე დაადგება, რადგანაც აქაურს სკოლაშიაც მასწავლებლად ლეკი გაუგზავნიათ, კიდევ და კიდევ ქართულის ენის არ მცოდნე. ამიტომ ორიოდე რასმე შევნიშნავთ აქა და, იმედია, რომ ამ შენიშვნას სხვებიც მიაქცევენ ყურადღებას.

მე დავიარე მთელის ქობულეთის სოფლები და ავწერე, გავიცან ძლიერ ბევრი მკვიდრთაგანი. აშკარად ვნახე და ეს არც სხვებისთვის უნდა იყოს საიდუმლო, რომ იქ ყველგან ქართული ენა არსებობს, ქალი, კაცი, მოლა, ხოჯა, იმამი, და სხვები ქართულად ჰლაპარაკობენ, თვით ,,მეჯლიშშიაც'' ყადებს ქართულად აქვთ საუბარი, იმ დროსაც-კი, როცა ,,ყორანის'' ძალით ასამართლებენ ვისმეს, ქართულად უხდებათ ლაპარაკი, რადგანაც არც ხალხმა იცის ოსმალური ენა და არც თვით ყადებს ესმით კარგად.

ყველგან ეს ხალხი თავისს ენად ქართულს ენას აღიარებს. ამათი გათათრებაც დიდი ხანი არ არის, სულ იქმნება 80 წელიწადი. იმათში ისეთი მოხუცნი დღესაც სცოცხლობენ, რომ ქრისტიანობა ახსოვთ. ასეთი მოხუცნი მეც მინახავს. ერთი ქრისტიანი დედაკაცი დღესაც სცხოვრობს სოფელ ქაქუთში, მოხუცი, შვილები კი მაჰმადიანები ჰყავს, გვარად ქარცივაძეა. იმათში ტირილი, სამძიმარი, მილოცვა, სიმღერა და ყოველივე ქართულად იციან.

ამათში დავყავ მე, ქართულის წიგნების შესახებ საუბარი დავუწყე, იმათ ისურვეს ქართულის წიგნების შესწავლა, ბევრს ალაგს დამავალეს კარგის წიგნების წაკითხვა, აქა იქ დამიწყეს თხოვნა, რომ ქართულის წიგნის კითხვაც გვასწავლეო. მეც აქა იქ სოფლებში პატარა ბავშვებს წერა-კითხვას ვასწავლიდი. რამდენისამე ხნის განმავლობაში ბევრმა დამიწყო წიგნების თხოვნა და მეც, რაც შემეძლო, წიგნებს ვაძლევდი ხოლმე.

რამდენისამე ხნის შემდეგ იმათში სკოლის დაარსების შესახებ საუბარიც ავტეხეთ და ბევრის წერილების წერის და თხოვნების შემდეგ, როგორც იქმნა, კინტრიშის ხეობის დაბა ქობულეთში სკოლა დააარსეს. ქართველ მაჰმადიანებს ძრიელ ესიამოვნათ ეს ამბავი, იმათაც მიიღეს სკოლის აშენებაში მონაწილეობა, პატივცემულმა გულო აღა კაიკაციშვილმა სკოლას ადგილი შესწირა, ზოგმა ფული და ზოგმაც ქვა-კირი და ხე-ტყე.

ეხლა გაზეთები სწერენ, რომ ქობულეთის სკოლაში მასწავლებლად ქართულის ენის არა მცოდნე ლეკი დანიშნეს და ამიტომ მოსწავლეები დიდად იტანჯებიანო, ვერაფერს სწავლობენო. ახლა შევიტყეთ, რომ მოსწავლეებზედ უფრო სასტიკად მშობლები სწუხდებიანო. დავარწმუნებთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ქართველ მაჰმადიანების განათლებლად, რომ იქაურს სკოლებში ისეთის პროგრამით სწავლას სულ ვერ მოახერხებენ...

სწორედ ასეთი მაგალითი გვაუწყა ამ დღეებში გაზეთ „ახალ მიმოხილვა“-მაც — „ზედა აჭარის დაბა ხულოში სკოლა დაარსდა სექტემბერშიო. მასწავლებლად სპარსელი თათარი დანიშნესო. პირველად სასწავლებელში 20 ყმაწვილი იქმნაო, მერე ნელ-ნელა იკლეს და, მომატების მაგიერ ხუთს ყმაწვილამდე ჩამოვიდაო. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ მასწავლებელი ბავშვებს თათრულს ენაზედ ესაუბრებოდა და ასწავლიდა, ბავშვებს კი არა ესმოდათ რაო, რადგანაც აქ შინაც და გარეთაც ხალხი ქართულ ენაზედ ლაპარაკობსო. მასწავლებელი გაიქცა და სკოლა იკეტებაო''.

ზედა აჭარას ძველად ,,ზეგანი'' ეწოდებოდა. ამ ზეგანში ირიცხება დიდი და პატარა სოფელი 130-მდე. ამის დაბა არის ხულო. მე დავიარე მთელი ეს კუთხე, ვნახე ძალიან ბევრი სოფელი და აქაც ქართული ენა ისე შეურყევლად ჰსუფევს ქართველ მაჰმადიანთ შორის, როგორც ქართლში, კახეთში, იმერეთში და სხვაგან. აქ თუ რამ მოხერხდება და სწავლა გავრცელდება, ხომ ისევ ქართულის ენის დახმარებით, თორემ სხვა მხრივ და სხვა ენით აქ არა გაკეთდება-რა.

გარდა ამისა, ამათში სპარსელი, ან სხვა ასეთ მხრის თათარი არ უნდა გაგზავნონ მასწავლებლად, რადგანაც ქართველ მაჰმადიანებს დიდად ეჯავრებათ უცხო რჯულის თათარი, ისინი ,,სუნეპი'' არიან სარწმუნოებით და სპარს-ბაქოელი თათრები-კი „შიები''. პირველთ მაჰმადი სწამთ და მეორეთ — მაჰმადის სიძე ალია.

განცხადება, რომელშიაც სთხოვს მას, მახლობელს კრებაზედ აუწყეთ სა ჭოს ის მიზეზი, რა მიზეზითაც დააგვიანეთ საბჭოში ახალის მოხსენების შეტანა ხორცის სხვა და სხვა ხარისხების კვალობაზედ ნიხრის დადების შესახებაო. ამასთანავე ხმოსანი განცხადებაში ამბობს, რომ გამგეობა მოხსენების შეტანას ამ ორი-სამი თვის ადრე დაგვპირდაო.

⁂ ძალიან კარგი იქმნება, რომ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ ამ უქმეების დროს მეტი ყურადღება მიაქციოს იარმუკაში მოვაჭრეთ. თუმცა კარგა ხანია, რაც ქალაქის საბჭომ ღორის ხორცის ნიხრი დააწესა, სახელდობრ 5 კაპ. და თუმცა რამდენიმე კაცს პოლიციამ ღორის ხორცის ძვირად გაყიდვისთვის ოქმები შეუდგინა, მოვაჭრენი მაინც თავისას არ იშლიან და 5 ნაცვლად ხორცს 7 და 8 კაპეიკად ჰყიდიან.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლომ დანიშნა სისხლის სამართლის განყოფილების საგანგებო სესსია ქალაქ გორში. სესსია გორში 1898 წლის იანვრის 26-დგან 31 დაჰყოფს და გაარჩევს რამდენსამე საქმეს, რომლებშიაც მონაწილეა ცნობილი ავაზაკი თედეშვილი. სესია შესდგება სასამართლოს წევრების ი. ა. პარჩევსკისა და ა. ვ. პადალკოსაგან.

⁂ 1898 წ. 1 იანვრიდგან ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილება არსდება, რომლის შესანახადაც ხაზინამ წელიწადში 300 მან. უნდა გარდაიხადოს.

⁂ დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელიარიის ვიცე-დირექტორს პოლკოვ. კ. ს. სოლოვიოვსა ჰნიშნავენო, სწერს გაზ. „ახ. მიმ.“.

⁂ ამ დღეებში საჯარო ვაჭრობით გაიყიდა პოლიციის არხივის სხვა-და-სხვა ქაღალდები, რომელნიც 1802—1830 წლებს ეკუთვნოდნენ, 400 მან. ამ ფულით, გუბერნატორის ბრძანებით, დაჯილდოვებულ იქმნებიან იმ კომისიის წევრნი, რომელთაც ამ არხივის განხილვა ჰქონდათ მინდობილი.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრის თანამდებობაზედ, ე. ბ. წინამძღვარიშვილის ნაცვლად, რომელმაც სამსახურს თავი გაანება, სასამართლოს მიერ სამი კანდიდატი იქმნა დასახელებული. უფროსი ნოტარიუსი ნ. ვ. პერესლენი, ერევნის ოლქის სასამართლოს წევრი ს. გ. როჟდესტვენსკი და ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ა. გ. რიბინი.

⁂ თელავის მაზრის სოფ. შალაურის საზოგადოებას ნება მიეცა საზოგადო მაღაზიიდგან მიჰყიდონ შალაურის გაჭირვებულ მცხოვრებთ ხორბალი ფუთი 50 კაპ., იმ პირობით, რომ აღებული ფული სასოფლო სამეურნეო თანხას შეუერთონ და შემნახველ კასსაში შეიტანონ.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“ სიტყვით გროზნის ნავთის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებული იქმნას ცალკე სასწავლებელი, სადაც ნავთის წარმოების მცოდნე ტეხნიკოსების და ხელოსნების მომზადება შეიძლება.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ აქსტაფიდგან, რომ 16 დეკემბერს ყაზახის მაზრის მეორე ნაწილის ბოქაული პორუჩიკი ტარატინოვი დახჭრეს მარცხენა ფეხში ბოროტ-მოქმედებთან შეტაკების დროსაო.

⁂ ამ დღეებში გაზ. „Сѣвер. Кавк.“-ის გამომცემელს ნებართვა მოუვიდა კვირაში სამი ნომერი გამოსცეს ხოლმე გაზეთისა ორის მაგიერ. ამ ნებართვის ასაღებად „Сѣвер. Кавк.“ რედაქტორ გამომცემელი 12 წელიწადია, რაც შუამდგომლობსო, სწერს გაზ. „Казбекъ“.

⁂ ქუთაისი. ისეთი სიცივეები დაიჭირა და იმოდენა თოვლი მოვიდა, რომ მისვლა-მოსვლა ცუდის გზებისა გამო მეტად გასჭირდა. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ქალაქში ყოველივე სანოვაგე გაძვირდა. ქალაქის ქუჩებში კარგა ბლომად თოვლი დევს, მაგრამ არავინ ჰფიქრობს ქუჩების გაწმენდა-გასუფთავებისათვის. საგუბერნიო მმართველობამ ქალაქის გამგეობას ყურადღება მიაქცია ამ ამბავს და ამის გამო შესდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც დაადგინა დახარჯულ იქმნას 500 მან. 250 მან. ღარიბ მცხოვრებლებისთვის დასარიგებლად და 250 მან. ქუჩების გაწმენდა გასუფთავებისათვის.

⁂ ქ. ახალციხე. ამ ჟამად უკვე აარჩიეს ადგილი მომავალ მართლმადიდებელ ეკკლესიისათვის, ეკკლესიისთვის არჩეულ იქმნა წინადვე გადადებული მამული და ამით ბოლო მოეღო იმ კაცთა მეცადინეობას, რომელთაც ეკკლესია ქალაქის პატარა ბაღში უნდოდათ მოეთავსებინათ. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის მოსესოვის მეცადინეობით უკვე შეისყიდეს ამ მამულის ახლო მდებარე სხვის მამულებიც და ყველა ეს მამული გადაეცემა სასულიერო უწყებას მისდა განსაგებლადაო.

⁂ ქიზიყი: წრევანდლისთანა წყეული წელიწადი არ ახსოვთ ქიზიყელებს: ზაფხულის ციებ-ცხელება ზამთარშიაც შეჰყვა ხალხს და ბევრნი იხოცებიან დღესაც უწამლობა-მოუვლელობით. ხალხის რამდენმამე გულ-შემატკივარმა კაცმა მაჩხაანის საბოქაულოს სოფლებს განაჩენები დაადგენინა, რომ ყოველ წელიწადს თითოეული კომლი ათს შაურს გამოიღებს და დაუარსდებათ ქვემო-ქიზიყის შუაგულ სოფელს ქვემო მაჩხაანში ქსენონი ანუ სახალხო სამკურნალო, სადაც მკურნალიც, ფერშალიც და წამლებიც უფასო იქნება. ნახევარ წელიწადზედ მეტია სოფლებმა განაჩენები უკვე წარადგინეს, სადაც ჯერ-არს, მაგრამ ქიზიყელები დღესაც ველით ქსენონის დამტკიცებას და არ იქნა არ გვეღირსა და ვერ დაეხწია ბეჩავი ხალხი ქვემო მაჩხაანის კერძო აფთიაქში და უანგარიშო ჯანაოზ-ექიმებისაგან კრეჭა-ყვლეფას.

⁂ გუშინ-წინ, 20 დეკებერს, საღამოთი, ძველ ინსტიტუტის ქუჩაზედ, ი. ე. ფითოევის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი პირველად „არტისტიულ საზოგადოების“ თეატრის დარბაზში გაჩნდა, შემდეგ მთელს სცენას მოედო და წიგნთ-საცავსა და საზოგადოების სხვა ოთახებშიაც მალე გადავიდოდა, რომ ცეცხლის საქრობი რაზმი დროით არ მოსულიყო და არ ჩაექრო. ცეცხლს უფრო მალე ჩააქრობდნენ, რომ ქალაქის მილში წყალი საკმაოდ ყოფილიყო. სცენაზედ აუარებელი დეკორაციები დაიწვა. როგორც ამბობენ, სახლი დაზღვეულია 60 ათას მანეთადაო.

⁂ 21 დეკემბერს, შუადღისას, მიხეილის ხიდთან, ვორონცოვის ძეგლის გვერდით, ცხენის რკინის გზის ერთი ცხენი გაგიჟდა, გაგიჟებულმა ცხენმა რამდენიმე კაცი დააშავა და მათ შორის აბრამ ცხიმანაურიც, ხელობით მეჩექმე. დაშავებულს ორი შვილი ჰყავს: ვაჟს გემნაზიაში ჰზრდის და ქალს საქალებო სასწავლებელში. გაგიჟებული ცხენი დაეცა და საბრალო ქვეშ მოიყოლა. თავი გაუხეთქა და ძლიერ დააშავა. ცხიმანაურს ხელში ჭურჭელი ეჭირა, რომელიც სრულიად დაიმსხვრა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და შემდეგ თავისს საკუთარ სახლში გადიყვანეს და ამ ჟამად ძლიერ ავად არის.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. ზესტაფონი. ნათქვამია, თავად არ იყო მმარიო, შიგ შეურიეს წყალიო, სწორეთ ჩვენ ზესტაფონის ვაჭრებზედ ითქმის. ჯერ რაც ვიყავით, ის აღარ ვართ, რადგანაც ჩვენის ვაჭრობის ერთად-ერთი მარილი,—შავი ქვა ხელიდგან გაგვიფრინდა და რაცა ვართ, ისიც აღარ ვიქმნებით, თუ რომ ამ ზედმეტმა უყაირათოდ ფულის ხარჯვამ ჩვენში დიდ ხანს გასტანა.

აი, ერთი მაგალითი ფულის უბრალოდ ხარჯვისა: პირველ აპრილს ამა წლისას აქაურმა ადმინისტრაციამ ცნობა მიიღო, საზღვარ გარეთ შავი ჭირი გაჩნდა და რაც შეიძლებოდეს, ბაზარი სუფთად შეინახეთო. თუმცა არც იმ დრომდე იყო ჩვენი დაბა სისუფთავეს მოკლებული, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია. მაინც გასცეს იჯარით ბაზრის დასუფთავება და ეს იჯარა აიღო ლ. ბიბილაშვილმა თვეში 160 მან. იგი ვალდებული იყო კვირაში ერთხელ არც ერთი გზა არ დაეტოვებინა დაუსუფთავებელი. ამასთან აირჩიეს სანიტარები, რომელთაც დაავალეს ადევნონ თვალ ყური ბაზრის სისუფთავეს... რაც შეეხება იჯარადარს, სამი თვე, ივნისის დამლევამდის, როგორც იყო ასრულებდა თავის მოვალეობას, მას აქეთ კი სულ აღარ იწუხებს თავს, კვირაში ერთხელის ნაცვლად თვეში ერთხელ დაუწყო აქაურობას გასუფთავება, ხოლო პირველ ოქტომბრის აქეთ ჩვენ ის აღარ გვინახავს. სრულიად მიანება თავი ბაზრის დასუფთავებას, ხოლო ფულის მიღებისათვის-კი არ მიუნებებია.

ამის გამო რამდენჯერმე კაცმა მიმართა, ვისაც ჯერ იყო, რომ მოუხერხეთ რამე ამ იჯარადარს, რადგანაც იმას, როგორც ეტყობა, ბაზრის დასუფთავების ნაცვლად ჩვენის ჯიბეების დასუფთავება აუღია იჯარადო, მაგრამ ამ თხოვნამ არ გასჭრა და საქმე იმავე მდგომარეობაშია. არ გვინდა, ბ-ნო, იჯარადარო, ჩვენი დაბა არც აქამდის ყოფილა სისუფთავეს მოკლებული და არც ამიერიდგან მოვკლებთო. ის ფულები, რაც იმან უნდა წაიღოს, სასწავლებლის დაარსებას მოვახმაროთო, ვამბობდით, მაგრამ ვინ შეისმინა?!.

ა. მკაში ნაქები

რუსეთი

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საჭიროა რეალური სასწავლებელი რვა-კლასიან სასწავლებლად იქმნას გადაკეთებულიო. ამასთანავე უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელთა კურსი ერთის წლით იქმნას შემცირებული და საშუალო სატეხნიკო სასწავლებლებში-კი სამის წლის კურსი იქმნას შემოღებულიო.

— განზრახვა აქვთ გზათა სამინისტროსთან განსაკუთრებული კომისია დააარსონ, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს აწ არსებული კანონდებულება მამულების ჩამორთმევისა რკინის გზის ლიანდაგისათვის.

— 1898 წ. 1 იანვრიდგან ახალის სახის მარკები იქმნება შემოღებული ამა [illegible] ამ საქაელ-მომქმედო

ამის მეოხებით მათ შორის დიდი განხეთქილებაა, და სჯულის გამო ერთმანერთსაც-კი არ ინდობენ. რაღა ფიქრი უნდა, რომ ესეც დაუფთხობდა მასწავლებელს ბავშვებსა და მათ პატრონებს.

სწორედ ასეთივე მაგალითი მოხდა 1889 წ. ხსენებულ კუთხეების რუსეთთან დაკავშირების შემდეგ. ლივანის დაბა მარადიდში აღმოჩნდა ერთი შესანიშნავი ქართველი მაჰმადიანი, ახმედ ეფენდი ხალვაში, კაცი თათრის დროსაც სახელოვანი, ამ კუთხის უფროსადა და გამგედ დანიშნული ოსმალეთისაგან. ეს კაცი ტფილისშიაც იყო, რუსეთის მთავრობამ ჯეროვანი პატივი სცა, მას იგივე თანამდებობა უბოძეს, მარადიდის უფროსად დანიშნეს. იგი შესმენილი კაცი იყო, საქართველოს მოყვარე, ქართულის ისტორიის და ქართულის წერა-კითხვის მცოდნე. ქართული კითხვა მას ოსმალოს მთავრობის დროს შეესწავლა. დიდად სტკიოდა გული ქართველთა გამაჰმადიანებისა და დაღუპვის გამო. ბევრს საპატიო ქართველთან ჰქონდა ქართველების შესახებ საუბარი, უნდოდა იმათი დაკავშირება არამც თუ მარტო გულით და პურ-მარილით, არამედ სარწმუნოებითაც. ამას ზოგიერთებმა დაბა მარადიდში სკოლის დაარსების ამბავი აუწყეს. ხალვაშმაც დაბა მარადიდში გააკეთა სკოლისთვის კაი სახლი და ხალხში გამოაცხადა სკოლის დაარსების ამბავი. სასულიერო წოდება წინააღუდგა. გაიმართა სასტიკი კამათი და ბრძოლა.

ახმედ ხალვაშმა მთლად დასძალა სასულიერო წოდება. წინააღმდეგი მოლები და ხოჯები დააპატიმრა. დიდი აყალ-მაყალი მოხდა, მაგრამ, როგორც იქმნა, სკოლა დაარსდა, პირველ თვეზე მოსწავლეთა რიცხვი 20 მეტი იყო. მასწავლებლად გაგზავნეს ისეთი, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა! ამის გამო ხალხში ასტყდა ბაასი, დავიდარაბა და ხალვაშსაც აყვედრიდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ მასწავლებელიც არყის ლოთი აღმოჩნდა, ბოჭკით არაყი ედგა და ლოთობდა. ბავშვებიც ვერას სწავლობდნენ. ბოლოს მასწავლებელი დაითხოვეს, ძალით გააძევეს და სკოლა შეუმჩნევლად დაიკეტა. ამ საქმემ დიდი თავსზარი დასცა ახმედ ხალვაშს, აღარ იცოდა რა ექმნა. მცირე ხნის შემდეგ ხალვაშიც გარდაიცვალა.

1892 წ. მე ვიყავ ლივანისკენ და მერე მარადიდში შევიარე. ერთ ალაგას მშვენიერი სახლი ვნახე, წინ აივანი ჰქონდა, ყავრულით დახურული, მაგრამ ცარიელი კი იყო. ერთს ქართველ მაჰმადიანს ვკითხე:

— ძმობილო, ეს რა სახლია-მეთქი?

— იგი სკოლა არის ძმობილო, მაგრამ დაიკეტაო. მერე მივედი და სკოლა დავათვალიერე. სკოლის ოთახები სავსე იყო სასკოლო ნივთებით და წიგნებით. წიგნები „როდნოე სლოვო“ 1 და 2 ნაწილი იყო, ევტუშევსკის არითმეტიკა, სოკოლოვის „სამღრთო სჯული“ (!) და სხვანი. ასეთის წიგნებით თითქმის ერთი ტომარა აივსებოდა. წიგნები ოხრად ეყარა იატაკზედ.

სკოლის დათვალიერების დროს ჩემთან პატარა ქართველი მაჰმადიანები მოვიდნენ და ლაპარაკი დამიწყეს, მთხოვეს ქართული ანბანი მესწავლებინა. ერთს ქართული კითხვაც სცოდნოდა. ამ ბავშვმა აი რა მითხრა:

— მე ამ სკოლაში ვიყავი, მაგრამ მასწავლებელმა ჩვენებური არ იცოდა, ჩვენ მისი არ გვესმოდა და იმას ჩვენი, ერთ თავად არაყსა სვამდა და ტყეში სანადიროდ დადიოდა. მე ჩვენებური აი რაფერ ვისწავლე: აქ მოვიდა ერთი კაცი, იმან ჩვენებური იცოდა, მელით კარებზე დამიწერა, იქ თათრული ასოებიც დავსხით და ამ საშუალებით ვისწავლე ჩვენებური.

მართლაც ამ ბავშვს ქართული კითხვაც თავისით შეესწავლა და ჩემი მიცემული წიგნებიც წაიკითხა.

ის დღეა და ისეთი ზიზღი და მტრობა გავრცელდა მარადიდში სკოლის დაარსების შესახებ, რომ ძნელლად-ღა, თუ იქ იმათ სკოლაზედ გული მოუბრუნდეთ. ბევრთან მქონდა ლაპარაკი, მაგრამ ყველა დიდათ წინააღმდეგი იყო სკოლის დაარსებისა.

ქართული ანბანისა, ლოცვებისა და ლექსების შესწავლის შესახებაც საუბარი მქონდა აქა იქ და ისინი დიდს თანხმობას აცხადებდნენ, რადგანაც ეს ენა ჩვენ კარგად გვესმის და ჩვენს ძველებსაც ამ ენით ულაპარაკნიათო. ჯერ ეს გვასწავლეთ და მერე სხვაო. შემდეგ იმათ თავ-მომწონედ განაცხადეს, რომ რუსულის შესწავლაც კაი იქმნებაო. მხოლოდ ჯერ იმ ენაზედ ასწავლონ ბაღანებს, რომელიც იმათ ესმითო.

აი, ასე გახლავთ ქართველ მაჰმადიანებში დღეს სკოლების დაარსების საქმე. იგი ისეა მომართული, რომ სწავლა-განათლების სიყვარულის მაგიერ სიძულილი ვრცელდება, რაც იმათ მოლა-ხოჯებს ძალიან ახარებს და ასიამოვნებს.

ამ საგნისათვის დიდი ფიქრი და ზრუნვაა საჭირო იმათ მხრივ, ვისაც ამის მზრუნველობისა და პატრონობის საქმე საღმრთო მოვალეობად აწევთ კისერზედ, თორემ შეიძლება სიკეთის სურვილმა ვნება მოიტანოს.

ზ. ჭ.

წარმოდგენის დროს სახმარებლად და ახალივე წესი ამ მარკების გაუქმებისა.

— იმპერატრიცა მარიამის სახელობის პეტერბურგის დედათა გიმნაზიასთან ამ დღეებში განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელმაც დედათა გიმნაზიებისათვის ისტორიის სწავლების ახალი პროგრამმა უნდა შეიმუშავოს.

— მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, მომავალ წლის მარტში შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება გამართოს ქ. მოსკოვში. კრების წევრთ შეღავათი მიეცემათ თურმე რკინის გზით მოგზაურობისათვის.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან პეტერბურგის სატეხნოლოგიო და სატყეო ინსტიტუტებში ორი თითო 400 მან. სტიპენდია არსდება სამხედრო კაცთა შვილების აღსაზრდელად.

◆

უცხოეთი

—

ჩინეთი. ჩინეთის სატახტო ქალაქ პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ „რეიტერის სააგენტოს“: „აქაურ ოფიციალურ წრეებში არ იციან როგორ მოექცნენ და რა პასუხი გასცენ გერმანიას: ომი გამოუცხადონ, თუ დაუთმონ კიაო-ჩაუ. ამ საგნის გამოსარკვევად და საერთოდ ამ საქმეში რჩევის საკითხად ჩინეთის მთავრობამ მიჰმართა რუსეთს, რომელსაც თავისს მეგობრად და მოკავშირედა სთვლის. ბრიტანიას ამ ჟამად ჩინეთში სრულიად დაეკარგა გავლენა. ეს გავლენა, განსაკუთრებით, მას შემდეგ მოისპო, რაც ჩინეთსა და ინგლისს მოლაპარაკება ჰქონდათ სესხის აღების შესახებ. როგორც უკვე ვუწყით, ამ მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. ეხლა ჩინეთს სესხის აღების შესახებ მოლაპარაკება რუსეთთან აქვს, რაც აშკარად ჰმოწმობს რუსეთის ჩინეთთან დაახლოვებას. რუსეთმა მოსთხოვა ჩინეთს, რომ მან დაითხოვოს ჩინეთის რკინის გზებზედ მოსამსახურე ინგლისელი ინჟენერები და ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩინეთი აღასრულებს რუსეთის ამ სურვილს. რაც შეეხება გერმანიის სამხედრო ინსტრუქტორებს, რომელნიც ჩინეთის ჯარსა სწვრთნიან, რუსეთმა იმათი დათხოვნაც მოითხოვა და იმათ ნაცვლად რუსების გამოწერა. უკვე ეხლა ჩინეთს ჩრდილოეთ პროვინციებში რამდენიმე რუსი ინსტრუქტორი ჰყავს“. საერთოდ ამ უკანასკნელს დროს ჩინეთიდგან მოსული ცნობები იმას ჰმოწმობს, რომ რუსეთი კარგს განწყობილებაშია ჩინეთთან. ბევრი გაზეთი იმასაც სწერს, რომ ჩინეთმა თვით დაუთმო რუსეთს პორტ-არტური, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად რუსეთის სამხედრო გემებმა დაიჭირეს. ეს გარემოება ინგლისს არაფრად ეპაშნიკა. იგი აქამდის ყველა სახელმწიფოზედ უფრო მეტად იყო დაახლოვებული ჩინეთთან. ყველაფერი იმის რჩევითა და დარიგებით სრულდებოდა იქ და ეხლა-კი იძულებული ხდება თავისი როლი რუსეთს დაუთმოს. ეს კიდევ არაფერი, რომ გერმანია და საფრანგეთი არ თანაუგრძნობდნენ რუსეთს. პირ იქით გერმანიას ესიამოვნა კიდეც რუსეთის მიერ პორტ-არტურის დაჭერა, რადგანაც თითონაც კიაო-ჩაუს დაჭერის საქმეში ისევე მოიქცა, როგორც რუსეთი. ხოლო რაც შეეხება საფრანგეთს, ის რუსეთთან ერთად ჰმოქმედებს და იმათი პოლიტიკა ერთს კვალსა და გზას ადგია: ორივენი ინგლისის წინააღმდეგნი არიან. ამ რიგად ინგლისს საფრანგეთისა და გერმანიის იმედი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ იმან მთელი თვისი ყურადღება ამ ბოლოს დროს იაპონიასა და შეერთებულს შტატებს მიაქცია და იმათთან დაახლოვება—დაკავშირება მოინდომა. როგორც ვაშინგტონიდგან გამოგზავნილის დეპეშიდგანა სჩანს, 12 დეკემბერს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, შეერთებული შტატები ინგლისსა და იაპონიას არ დაუკავშირდესო; საერთოდ შეერთებულ შტატებს აზრად არა აქვთ, რომ ჩინეთში ადგილი რამ შეიძინონ. ამ რიგად, ინგლისს იაპონია-ღა დარჩა და ძალიან შესაძლებელიც არის, რომ იმას დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს. ამას სხვათა შორის, გაზ. „daily mail“-ის კორესპონდენტიც ჰმოწმობს. კორესპონდენტი ამბობს: „ამ ორმა ერმა, როგორც ხმა დადის, პირობა დასდეს, თუმცა ფორმალურად კავშირი არ შეუკრავთ, რომ შეერთებული ფლოტით დემონსტრაცია მოახდინონ რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ. ინგლისისა და იაპონიის ფლოტები პეჩელიის სრუტეში შეერთდებიან.“ რადგან ფლოტზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება, მოვიყვანოთ საინტერესო ცნობანი იმის შესახებ, თუ თითოეულს ჩინეთის საქმეში დაინტერესებულს სახელმწიფოს შორეულ აღმოსავლეთის წყლებში რამდენი სამხედრო გემი ჰყავს. პირველი ადგილი ამ სახელმწიფოთა შორის იაპონიას უჭირავს, რადგანაც თვით ეს სახელმწიფო დიდის ოკიანეს კუნძულებზედ მდებარეობს და მთელი თავისი ფლოტიც იქა ჰყავს. ამ ჟამად იაპონიას სულ 45 საომარი გემი აქვს. ამის გარდა, ათ გემს კიდევ აკეთებენ და მალე მზადაც იქმნება. უმეტესობა ჯავშნიანი გემებია. ინგლისს შორეულ აღმოსავლეთში 29 გემი აქვს, რუსეთს—19, ხოლო გერმანიას, ახალის ესკადრის გაგზავნამდე, 7 გემი ჰქონდა.

◆◆

საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

რვა წელიწადი შესრულდა, რაც საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოდის. რედაქცია შრომასა და მეცადინეობას არ აკლებს იმის კარგად გამოცემას, გაუმჯობესებას, მაგრამ ხელის მომწერლები-კი, თურმე, ისე ცოტა ჰყავს, რომ სათქმელადაც არა ჰღირს!.. რა არის ამისი მიზეზი და ვისი ბრალია—რედაქციისა თუ საზოგადოებისა?

მე არ ვიკისრებ გადაჭრით იმის თქმას, რომ „ჯეჯილი“ უნაკლულოამეთქი, მაგრამ, როგორც გამოცდილი პედაგოგები ამბობენ, რუსულ საყმაწვილო ჟურნალებს არაფრით ჩამორჩება, უკან არ დაუდგებაო. თუნდა ასეც არ იყოს, ბრალი საზოგადოებას მაინც მეტად ედება, ვიდრე რედაქციას. თუ ცუდია და არ ვარგა გამოცემა,—სად არის კრიტიკა? რატომ არ აღუნიშნავს ნაკლსა და შეცდომას? ჩვენს მოწინავე საზოგადოებას ბევრი რამ მიეტევება, დროისა და გარემოების მიხედვით, მაგრამ ის-კი მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს, რომ ასე გულ-გრილად შეჰყურებს ხოლმე მოზარდის თაობის აღზრდა-განვითარების საქმეს!.. ნუ თუ ყურადღების ღირსი არაა ის ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ოჯახს და სკოლას, რომელიც უნდა ჰზრდიდეს, სწვრთნიდეს და ანვითარებდეს მოზარდ თაობას—ამ ერისა და ქვეყნის იმედსა და სასოებას?!. ცუდია? დაიწუნეთ, თანაგრძნობა მოაკელით, გაჰკიცხეთ. კარგია? მოიწონეთ, გაამხნევეთ, დაეხმარეთ. ჩვენ-კი არც ერთსა ვშვრებით და არც მეორეს!.. ჩვენთვის საკმარისია, სადმე ყური თუ მოვჰკარით: „ესა და ეს ჟურნალი თუ გაზეთი ცუდია, არ ვარგაო“, რომ გული ავიცრუოთ და ხელი ავიღოთ! ნამდვილი კრიტიკა-კი არც ავს ამბობს და არც კარგს, თითქოს მისი საქმე არ იყოს ლიტერატურის ხელ-მძღვანელობა, მისის ასავალ-დასავალის შესწავლა და გათვალისწინება!!. ანკი სად არის ჩვენში კრიტიკა, რომ ეს მოვთხოვოთ?

შეგნებულსა და განვითარებულს ქვეყნებში, კრიტიკამაც რომ არ დასდოს მსჯავრი ამა თუ იმა წიგნს, ამა თუ იმ გამოცემას, მკითხველი საზოგადოებაც კარგად არჩევს ავსა და კარგს, ნაკლსა და ღირსებას და ფასსაც ადებს ხოლმე. ჩვენში-კი მკითხველი საზოგადოება ძალიან მცირეა და ამასთან ერთად ძალიან მდარეც; იმისთვის კითხვა „თავის შექცევას“ ჰნიშნავს და სხვას არაფერს!.. აქვს—წაიკითხავს, თუ მოცლილია და თან მოწყენილი;არა აქვს და, არც ეს შეაწუხებს. ეს გარემოება უფრო საზოგადო გამოცემების წარმატებას უნდა უშლიდეს ხელს და არა სპეციალურ ორგანოს, როგორიც არის, მაგალითად, „ჯეჯილი“. ასეთ გამოცემას საქმე და კავშირი აქვს მხოლოდ განსაზღვრულ მკითხველებთან: იგი შედის ოჯახში და სკოლაში, უმეგობრდება ბავშვებს, მშობლებს და მასწავლებლებს. ამ ნაირად, საყმაწვილო გამოცემა, თუ კარგად ასრულებს თავისს დანიშნულებას, შეიძლება გახდეს სასწავლებლების, ოჯახების, მასწავლებლებისა და მშობლების სიავ-კარგის, ნაკლღირსების მაჩვენებელ საზომად. გავრცელებულია გამოცემა? შეგნებული მშობლები, განათლებული ოჯახები, კარგს ნიადაგზედ დამყარებული სკოლები და იმათი ჭეშმარიტი ხელმძღვანელებიც ბლომად ყოფილან. არაა გავრცელებული? ოჯახიც დამხობილა, სკოლაც დაცემულა!.. მივადგეთ აბა ახლა ამ ზომით ჩვენს ოჯახს და სკოლას და ვნახოთ რა აღმოჩნდება.

არის თუ არა ჩვენში ოჯახი? უცნაური კითხვაა, მაგრამ აუცილებელი კია! ოჯახს თუ შეადგენენ მხოლოდ ცოლ-ქმარი და ბავშვები, მეგრული ფაცხა და ქართლური მიწური, იმათი ღარიბ-ღატაკული კუთვნილებანი და სხვა,—რასაკვირველია, ჩვენცა გვქონია ოჯახი. თუ ოჯახისათვის საჭირო და მიუცილებელია, ზემო ჩამოთვლილის გარდა, შეძლება, ქონება, გონება, სწავლა, შეგნება, ერთის სიტყვით, ადამიანური ცხოვრება, მაშინ-კი, უნდა გამოვტყდეთ, უოჯახო ვყ[illegible]ილვართ!.. ჩვენში ვისაც გონება აქვს, [illegible]ს ქონება არა აქვს და ვისაც მე[illegible] აქვს, იმას პირველი აკლია. აბა, სა[illegible] არის ჩვენში ის ბედნიერი ოჯახი, რო[illegible] შეგნებული ჰქონდეს ჩვენი წარსულ[illegible] აწმყო და მომავალი, აწმყოს წარსულ[illegible] შეუწონებდეს და აწონ-განაზომს [illegible]მავალს უდებდეს გზად და ხიდად? სად [illegible]რის ჩვენში ის შეგნებული და განათ[illegible]ბული ოჯახი, რომ ესმოდეს მოზარდის თაობის აღზრდის მნიშვნელობა, მუდამ ახსოვდეს და გათვალისწინებული ჰქონდეს საპედაგოგიო მეცნიერების ის მოძღვრება, რომ ბავშვის აღზრდა-თავისის ვრცელის მნიშვნელობით—იწყება ოჯახში და თავდება სასწავლებელშიო? სადაც ეს შეგნება არაა, იქ არც ამზადებენ ხოლმე ყმაწვილებს სასწავლებლისათვის. რაღა საკვირველია, რომ ასეთს საზოგადოებაში ადგილი არა ჰქონდეს საყმაწვილო ჟურნალს და ფასიც არ ედოს?!. ოჯახში უარ-ყოფილი, ის უნდა მიადგეს პირ-და პირ სასწავლებლის, სკოლის კარებს.

არის თუ არა ჩვენში სკოლა? აქაც ისეთივე პასუხია საჭირო, როგორიც ოჯახის შესახებ. სკოლა არის ჩვენში და სხვა-და-სხვა ნაირიც, მაგალითად, სამინისტრო, სამრევლო, საბალოსნო და სხვა, მაგრამ უფრო სახელით, ვიდრე საქმით. სკოლა შეედრება მცენარეს, რომელიც მხოლოდ იქ ჰხეირობს და ნაყოფი მოაქვს, სადაც მისის ბუნების შესაფერი ნიადაგი და მოვლა აქვს, ხოლო სადაც ეს აკლია, იქ სჭკნება და ჰღრება. ჩვენში, სამწუხაროდ, სხვა-და-სხვა მიზეზისა და მოსაზრების მეოხებით, უკანასკნელ ყოფაშია სკოლა... რა აკლია? ბევრი რამ, მაგრამ ჩვენ აქ ყველას შესახებ არ ვილაპარაკებთ.

სკოლის დედა ბოძი, თავი და ბოლო მასწავლებელია. კარგია მასწავლებელი? სკოლაც კარგს ნიადაგზე იქნება დაყენებული, თუნდა რომ მისი ძირითადი წეს-წყობილებაც არ იყოს კარგი. ცუდია? კარგ წეს-წყობილებიანი სკოლაც გაფუჭდება იმის ხელში. ჩვენს სკოლებსკი არც წეს-წყობილება აქვს სასურველი და არც ხეირიანი მასწავლებლები ჰყავს. ხშირად შეხვდებით ხოლმე ისეთ მასწავლებელს, რომელსაც თვისის ხელობის შესაფერი სწავლა ვითომ მიღებული აქვთ, მაგრამ უბრალო რამეების გაგებასა და შეგნებას-კი მოკლებულნი არიან! იმათ თითონაც ზეპირობით უსწავლიათ და თვისს შეგირდებსაც ამ წესით ჰზრიან ხოლმე. გარეშე რისამე, რაც სახელმძღვანელოებში არ უწერიათ, გამოყენება და სარგებლობა ხომ სრულებით არ ძალუძთ!.. იმათი დაჩაგრული და დაფეთებული შეხედულობა სიბრალულს აღუძრავს ადამიანს და მწარედ ჩააფიქრებს იმათ ბედ-იღბალზედ. ასეთი მასწავლებლებისათვის არა არსებობს რა ქვეყანაზედ, ორის სამის სახელმძღვანელოს გარდა, რომლებსაც ხშირად იძულებით აჩეჩებენ ხოლმე ხელში!.. გაზეთი, ჟურნალი, ახალი წიგნი იმათთვის ისეთი სანატრელი რამ არის, როგორც ფული, მშვიდი და წყნარი ცხოვრება და სხვა. უკიდურესი ხელ-მოკლეობა სურვილს უკლავს, გულს უწყლავს, სულს უშფოთებს და ნელ-ნელა, თანდათანობით, გონებას უჩლუნგებს... ყოველივე ეს უხეშობის დაღსაც ასვამს იმათ და საზოგადოების თვალში გავლენას აკლებს. იმათზედაც—თუ კი ასე ითქმის, რომლებსაც, ასეა თუ ისეა, განათლება მიუღიათ, რაღა უნდა ითქვას იმათ შესახებ, რომლებიც ამასაც მოკლებულნი არიან?! ასეთების რიცხვი არა მცირეა ხოლმე სამრევლო სკოლებში. რაღა საკვირ[illegible]ლია, რომ ასეთ მასწავლებლებს [illegible] საყმაწვილო ჟურნალს შორის კავ[illegible] არ იხს[illegible] არა ჰსუფევდეს, მეგობრობა ამ ნაირ[illegible]დეს?!

ამ მოკლე მი[illegible] როგორც დავინახეთ [illegible]ლო ჟურნალს ჩვ[illegible]დგან, საყმაწვი[illegible] მკვიდრი ნიადაგი არ[illegible] არ ჰქონია არც სკოლაში. რა უნდ[illegible]ხსა და ჟურნალმა, თუნდაც რომ [illegible]ნას აქ სრული და უნაკლულო იყოს?! [illegible]ლად როდემდის უნდა გასტანოს ასე[illegible] არა-სასურველმა მდგომარეობამ? ნუ თუ არას გზით არ შემოევლება საქმეს?

რაც ითქვა საზოგადოთ ოჯახის და სკოლის მშობლისა და მასწავლებლების შესახებ იგივე არ ითქმის კერძოთ ზოგიერთების გამო. თითოოროლა მშობლებიც მოიპოვებიან შეგნებულნი და მასწავლებლებიც. ესეც რომ არ იყოს, მაშინ ხომ სრულს სასოწარკვეთილებას უნდა მივცემოდით და ამის შესახებ ლაპარაკის ჩამოგდებაც მეტი იქნებოდა, თუ კი გვრწამს, რომ „ერთი ცუდი ასს კარგს გასვრისო“, რატომ უფრო დაბეჯითებით არ უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთს კარგსაც შეუძლიან ასის ცუდის გამობრუნება, განკარგება?!. ერთი შეგნებული მშობელი ათსა და ასსზედ იქონიებს გავლენას, თუ საგნად დაისახავს ამას; აგრევე შეგნებული მასწავლებელი კიდევ მეტ ნაყოფს გამოიღებს თავისს ამხანაგებ შორის. მასწავლებლებს მაინც ბევრი ჩიჩინი და განმეორება არ უნდათ, რადგან მათ შორის სამოქმედო ძალა, მხნეობა, მხოლოდ, მიძინებულია და პირველ გაღვიძებისათანავე იფეთქებს ხოლმე. გული გულობდეს, თორემ რა დიდი საქმე უნდა წელიწადში ხუთის მანეთის შეგროვებას? მოსწავლეებს რომ დაუწესოს გადასახადად თვეში თითო კაპეიკი, ყველა მასწავლებელი შეაგროვებს წლის განმავლობაში ხუთ-ექვს მანეთს. ამასაც რომ თავი დაანებოს, განა სხვა ათასი საშუალება და შემთხვევა ხელთ არა აქვს სოფლის მასწავლებელს, რომ ასე მცირე ფული იშოვნოს? დღესასწაულებს, დღეობებს, ქორწილებს, სხვა-და-სხვა კერძო შემთხვევას ყველა ფხიანი მასწავლებელი სკოლის სასარგებლოდ გამოიყენებს ხოლმე. ჩვენში 700—800 მეტი იქნება სხვა-და-სხვა სასწავლებელი; ამათი ნახევარიც რომ გამოიწერდეს „ჯეჯილს“, საკმარისი იქნება, რომ რედაქციამ თავისის ჯიბიდან არა დაადოს-რა. ხაზინა ილევა, ბანკები ცარიელდება და ბარაქალა „ჯეჯილის“ რედაქციას, რომ რვა წლის განმავლობაში მისთვის არც ჯიბეს უსუსტნია და არც მხნეობას, მაგრამ ყოველთვის ხომ არ მოიტანს კოკა წყალს და ერთს დღესაც იქნება, გატყდება. გატეხილის გამრთელებას, დაკარგულის ძებნას ის არ ემჯობინება, რომ დროზედვე მივა-

ქციოთ ყურადღება და სადავიდარაბოდ არ გავიხადოთ?

იმის მომიზეზება, „ჯეჯილი“ მთავრობისაგან არაა ნება დართული სკოლებში სახმარებლადო, ახლა აღარ შეგვიძლიან, რადგან ასეთი ნება-რთვა უკვე აღებულია, როგორც საერო, ისე სასულიერო სამასწავლებლო მთავრობისაგან.

ჰაღარა

დამაკვირდი

მხატვრობა პური-კი არ არის არსებისა, ღვინოა.

პაული

* * *

ჭეშმარიტად დიდმა გენიოსმა თითონვე იცის საზღვარი თავისის ნამოქმედარისა, [illegible] იფარგლავს წრეს მოღვაწეობისა, რომლის შუაშიაც უნდა იმოქმედოს იმისმა ჭკუამ, რომ ნაყოფიერი იყოს.

ბრუგჰამი

* * *

ისეც გაწითლდეს სპილენძი,
რაგინდ რომ ხშირად ჭკალევდეთ.

იოსებ ტფილელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მომავალ 1898 წლის 1 იანვრიდგან ნიუიორკი მეორე ადგილს დაიჭერს მცხოვრებთა რიცხვის სიმრავლით. პირველი ადგილი დარჩება ისევ ლონდონს; მესამე—პარიჟს და მეოთხე ბერლინს.

	ლონდონი	ნიუ-იორკი	პარიჟი	ბერლინი
მცხოვრ. რიცხვი	6,290,000 *)	3,380,000	2,540,000	1,726,000
სივრცე **)	443,421	193,850	19,279	15,662
მოკირწყ. ქუჩები	1,818	1,002	604	500
რკინის გზები ქალაქში ***)	. . . .	531	25	225
წლიური ხარჯი ფრანკებით	1,000,000,000—	925,400,000—	2,603,000,000—	350,000,000

*) უბნებით.
**) აკრები. 1 აკრი=400 ოთხკ. მეტრი. მეტრი არშინზე მეტია.
***) მილები. 1 მილი=2 ვერსი.

* * *

ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკა არა ჰგავს ჩვენს ბიბლიოთეკებს. ეს ბიბლიოთეკა ქალაქის შუა გულშია მარმარილოს სასახლეში. ამ ბიბლიოთეკას ათი განყოფილება აქვს მთელს ქალაქში. თვით ბიბლიოთეკა მშვენივრად არის მოწყობილ-მორთული და ელექტრონით განათებული. წიგნს რომ მოითხოვს ვინმე, სულ 5—7 წუთში მოუტანენ. აი როგორ არის აქ საქმე მოწყობილი: წიგნის მსურველი დასწერს ქაღალდზედ წიგნის სახელს და ამ ბარათს ჩააგდებს პაწაწინა რკინის გზის ვაგონში. ვაგონი იმ წამსვე ასრიალდება ზემო სართულში, სადაც წიგნები ინახება. მორიგი მსახური ამოიღებს ვაგონიდგან ბარათს, მერე აიღებს საჭირო წიგნს, ჩააგდებს ვაგონში და ხელსა ჰკრავს. ვაგონი იმ წამსვე გასრიალდება და მსურველს წიგნს მიუტანს. ეს პაწია რკინას გზის ვაგონები ელექტრონის ძალის მოწყალებით ისე ჩქარა დასრიალებენ, რომ კაცი თვალს ძლივს მოასწრებს. ამ ბიბლიოთეკას თავისი საკუთარი თანხა აქვს. ბიბლიოთეკაზე ყოველ წლივ იხარჯება 490,000 მანათი. შემოსავალი აქვს 540,000 მანათი წელიწადში, 450,000 მანათს მარტო ქალაქი აძლევს ამ ბიბლიოთეკას. დანარჩენი ფული შემოსდის თანხის სარგებლისა და სტამბის მოგებისაგან. ბიბლიოთეკის მართველს წელიწადში 12,000 მანეთი ეძლევა.

ყოველ წელიწადს ბიბლიოთეკა ჰყიდულობს 25 ათას წიგნს. გარდა ამისა მრავალს წიგნებსა სწირავენ კერძო კაცებიც. შემომწირველთა სია ყოველ წელს იბეჭდება. ზოგი მდიდარი კაცი ათას თუმნობითა სწირავს ამ ბიბლიოთეკას. ერთმა მდიდარმა კაცმა გვარად ბეტსმა წელს ამ ბიბლიოთეკას 100,000 მანათი შესწირა. ბოსტონის ბიბლეოთეკაში ყოველ დღე მოდის 308 ყოველ დღიური გაზეთი და ჟურნალებს ხომ თვლა არა აქვს. სხვათა შორის ამ ბიბლიოთეკაში ორი დიდი დარბაზია პატარა ბავშვებისათვის. ერთს დარბაზში წიგნებსა კითხულობენ და სურათებსაც სინჯავენ ისეთი ბავშვები, რომელნიც ჯერ სკოლაში არ დადიან. მეორე დარბაზი იმ ბავშვებისათვის არის, ვინც სკოლაში დადის, ასე ამბობენ, რომ ამ ბიბლიოთეკის მსგავსი მთელ დედამიწის ზურგზედ მეორე არსად არისო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 დეკემბერი

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრი გრაფი დელიანოვი საშიშრად გახდა ავად.

გამოქვეყნებულ იქმნა ფინანსთა მინისტრის განკარგულება ამიერ-კავკასიის რკინის გზის 5% ობლიგაციების გამოსყიდვის და კონვერსიის პირობათა და წეს-რიგის შესახებ.

კალკუტა. ზაკაკელიებმა შეჰკრეს ალი-მუშხიდიდგან ლინდი-კოტალში მიმავალი გზა. ხაიბარის გასავალში მტერმა ოქსფორდის რაზმს დაუშინატყვია. ჯარმა მხოლოდ მაშინ შესძლო ომიდგან თავის დაღწევა, როდესაც ახალი ჯარის კაცები მიეშველნენ. დასჭრეს ინგლისელი სამი ოფიცერი და 11 ჯარის-კაცი; მოჰკლეს სამი ჯარის-კაცი.

ლონდონი. „Times“ დეპეშით ატყობინებენ გონკანგიდგან, რომ აქაურ გემების ამშენებელ ნავთ-სადგურებში დიდი მოძრაობა არის, მაგრამ ყველაფერს საიდუმლოდ ინახავენ და არავის არაფერს ატყობინებენო. ბრიტანიის ფლოტის სხვა ადგილას წასვლის შესახებ არაფერი ისმის. ჯავშნიანი გემი „გრაფტონი“ გონკონგიდგან მიდის. 24 დეკემბერს ორის ჯავშნიანის გემის და ორის ნაღმიანის გემის მოსვლას მოელიან. ორკშირის რაზმს გემებით სინჰაპურში გაისტუმრებენ.

„Times“-ი სწერს: „რადგანაც საფრანგეთის მთავრობას აზრადა აქვს გააძლიეროს თავისი ფლოტი, ინგლისიც ვალდებულია ასევე მოიქცეს

ბერლინი. „ვოლფის სააგენტოს“ ატყობინებენ ტოკიოდგან: „როგორც მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, ამ ჟამად ჩემულპოში სდგას ბრიტანიის ექვსი სამხედრო გემი“.

პარიჟი. ახალ წლის დღესასწაულის გამო ფორმა მიიღო სადიპლომატო კორპუსი. უხუცესმა წევრმა კორპუსისამ, პაპის ნუნციმ სთქვა, რომ მე ბედნიერება მქონდა დამეფასებინა ის ღვაწლი, რომელსაც საფრანგეთი, ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის საქმეში მთელს ქვეყანას უწევს. დასასრულს ნუნციმ სთქვა, რომ სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენელნი „მონატრულნი არიან მშვიდობიანობას, რომელიც ხალხთა იდეალს და კეთილდღეობას შეადგენსო. ფორმა მადლობა გარდაუხადა და თავისის მხრით დაუმატა, რომ საფრანგეთი არ უღალატებს თავის აზრს. მან საგნად დაიდო ხელი შეუწყოს ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის საქმესაო.

22 დეკემბერი

პარიჟი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და შემდეგის დეპეშით მიჰმართა ფელიქს ფორს:

„ახალის წლის დამდეგს მსურს შეგატყობინოთ ჩემი და იმპერატრიცას გულითადი კეთილის სურვილი თქვენდამი კერძოდ და ჩვენის მეგობარის საფრანგეთისადმი. თქვენ კარგად იცით ჩვენი გრძნობანი და ეჭვი არ უნდა გქონდეთ, რომ თქვენი ყოფნა რუსეთში დაუვიწყარი იქმნება ჩვენთვის“.

ფორმა უპასუხა: „თქვენის უდიდებულესობისა და იმპერატრიცას მიერ წარმოთქმული სურვილი დღეს მთელის საფრანგეთის მცხოვრებთა გულს აღელვებს. მათის სახელით გითვლით მხურვალე მადლობას და თვით მე კერძოდაც დიდი მადლობა შემომიწირავს; ამასთანავე გარწმუნებთ ჩემს ერთგულს სიყვარულში“. ფელიქს ფორ.

პეტერბურგის ბირჟა, 19 დეკემბრი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გაცვლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ მანეთიანი ოქრო	„ —	— „	— „
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა	211	— „	— „
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	100¾	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¾	— „	— „
6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¾	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	— „	— „	99¾
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	294¾
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	257½

წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს დავით ზაქარიას ძეს სარაჯიშვილს და ბ-ნს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს მამაცაშვილს, რომელთაც კეთილ ინებეს და გამოგვიგზავნეს ღარიბ ამხანაგთა დასახმარებლად პირველმა ასი მანეთი, ხოლო მეორემ ათი მანეთი.

მოსკოვის ქართველ-სტუდენტების მონდობილობით ალექსანდრე ჯავახიშვილი

განცხადებანი

ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ
ЛАНДЫШЪ
БРОКАРЪ и Ко
ВЪ МОСКВѢ

Покупайте только
ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
изобрѣтенный
Товариществомъ
Брокаръ и Ко.

Этотъ о-де-колонъ употребляется
как духи,
туалетная вода
и куренія.

Остерегаться подделокъ.

(11—მ—7)

ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ იმ ეტლებისათვის, რომელთაც თვლებზედ შირა (რეზინი) აქვთ გადაკრული, სხვა ნიხრი არ არსებობს და ფასი ამ ეტლით სიარულისათვის იგივეა, რაც უშირაო (ურეზინო) ეტლებისათვის. ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, თუ ვინიცობაა, მეეტლემ დაწესებულ ნიხრზედ მომეტებული ფასი ითხოვა შირით გადაკრულ თვლებიან ეტლით სიარულისთვის, შეატყობინოს ეს ქალაქის გამგეობას პირადად ანუ ფოსტით.

(3—6.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . .	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძალლი . . .	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . .	„	15
ამირან-დარეჯანიანი .	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . ,	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . .	„	60
გედები. საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . .	„	25
სახალხო ლექსები და ლეგენდები . . .	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	›
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	›	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
II вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его же.	›	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV. Е. Такайшвили. . . .		60
Матеріалы для русской исторіи, его же .	3	
Матеріалы для исторіи Кавказа. Бутксва 3 т.	7	50
Завѣщаніе царя Давида Возобновителя Жорданія. . .		30

ვყიდულობთ

ცოცხალს, კავკასიის გარეულ ცხოველებს:

ირმებსა, ჯეირნებს, ვეფხვებს, ჯიხვებს, ხრჩვებს, არნებს, ფოცხვერებს და სხვ.

საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.

მიხეილის ქუჩა, № 106, ეზოში; სახლი ბარამოვისა. იკითხე ჭუგო ვინკლერი. (6—212—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 23-го Декабря 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.